

შპს "ბიარ ჯორჯია" (ს/კ 206152688)

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

"ბიარ ჯორჯია" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2004 წლის 28 ივლისს. კომპანიის იურდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 55. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა იმპორტული ლუდით ვაჭრობა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება/ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით., როდესაც მოხდა ღირებულების დადგენა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა:

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები:

10-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტრულ პროგრამულ უზრუველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც 5 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო - მატერიალური ფასულობების ასახვა ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება-ზარალი უწყისში.

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსე ღირებულებიდან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მიმზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქტივების რეალიზაცა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი განხორციელებისას.

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
	შენიშვნა	12/31/2018	12/31/2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	2	474343	384651
სავაჭრო მოთხოვნები	3	607910	530659
გადახდილი ავანსები	3	834149	1150094
		1916402	2065404
მარაგები			
სასაქონლო მარაგი	4	1828951	1744084
საივენსტიციო ქონება	5	924577	92865
სხვა მიმდინარე აქტივები	4	26021	14089
არამატერიალური აქტივები	1	1793	2388
ძირითადი საშუალებები	1	506366	449393
მთლიანი აქტივები		5,204,110	4,368,223
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	6	556,398	564,904
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	6	33,627	33,114
საგადასახადო ვალდებულება	7	31,357	36,710
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	8	1,641,393	1,074,332
ა/მანქანის იჯარის გადასახადი	6	9,000	4,500

ვალდებულებები სულ		2,271,775	1,713,560
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		2,795,902	2,542,765
გადაფასების რეზერვი		134,433	109,898
სულ საკუთარი კაპიტალი		2,932,335	2,654,663
სულ კაპიტალი დავალდებულებები		5,204,110	4,368,223

საქმიანობის შედეგები			
	შენიშვნა	2018	
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვებიდან	9	7,057,428	
მომსახურების გაწევიდან	9	28,475	
სულ ნეტო ამონაგები		7,085,903	
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება			
საწყისი მარაგი		1,744,084	
მარაგის შესყიდვა		5,408,696	
საბოლოო მარაგი		1,828,951	
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		5,323,829	
საერთო მოგება		1,762,074	

სხვა შემოსავლები	10	302,003	
დასაქმებულთა ანაზღაურება		(594,136)	
ცვეთა და ამორტიზაცია		(86,208)	
საპროცენტო ხარჯი		(90,956)	
იჯარის ხარჯი		(129,262)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(586,275)	
სულ საოპერაციო ხაეჯები		(1,184,834)	
საოპერაციო მოგება		577,240	
წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციიდან	12	(54,444)	
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		522,796	-
მოგების გადასახადი	13	(53,760)	
წმინდა მოგება		469,036	
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	
მთლიანი სრული შემოსავალი		469,036	-
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		33564	
სხვა სრული შემოსავალი		33564	
მთლიანი სრული შემოსავალი		502,600	

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		2654663	
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		(1056640.00)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		502,600	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		831712	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,932,335.00	

შენიშვნა: 1

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა

	მანქანა- დანადგარები	შენობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატე რიალური აქტივი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2017	963,461	4,877	27,817	55,005	6,818	2,935	1,060,913
შემოსვლა	88,646		1,721	18,655			109,022
გადაფასება	32,714		850				33,564
გასვლა	(2,330)		(1,538)	(23,505)			(27,373)
31 დეკემბერი 2018	1,082,491	4,877	28,850	50,155	6,818	2,935	1,176,126
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2017	(541,165)	(943)	(18,307)	(44,155)	(4,430)	(132)	(609,132)
პერიოდის ცვეთა	(77,603)	(244)	(2,805)	(4,815)	(595)	(146)	(86,208)
გასვლა	2,330		1,538	23,505			27,373
31 დეკემბერი 2018	(616,438)	(1,187)	(19,574)	(25,465)	(5,025)	(278)	(667,967)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2017	422,296	3,934	9,510	10,850	2,388	2,803	451,781
31 დეკემბერი 2018	466,053	3,690	9,276	24,690	1,793	2,657	508,159

კომპანია იყენებს შეფასების თვითღირებულების მეთოდს
ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 2

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	262,283	95,056
ფული საბანკო ანგარიშებზე	212,060	289,595
სულ	474,343	384,651

შენიშვნა 3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	607,910	530,659
გადახდილი ავანსები	834,149	1,150,094
სულ	1,442,059	1,680,753

შენიშვნა 4

მარაგები

	2018	
სარეალზაციო ნედლეული და მასალები	1,828,951	1,744,084
დამხმარე მასალა და მცირეფასიანი ინვენტარი	26,021	14,089
სულ	1,854,972	1,758,173

შენიშვნა 5

საინვესტიციო ქონება	2018
რეალური ღირებულება 1.01.2018	92,865
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	831,712
რეალური ღირებულება 31.12.2018	924,577

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	556,398	564,904
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	33,627	33,114
ა/მანქანის იჯარის გადასახადი	9,000	4,500
სულ	599,025	602,518

შენიშვნა 7

საგადასახადო ვალდებულებები

	2018	2017
გადასახდელი მოგების გადასახადი	7,680	21,142
საშემოსავლო გადასახადები	9,075	29,971
დღგ	8,825	(14,458)
ქონების გადასახადი	5,777	55
სულ	31,357	36,710

შენიშვნა 8

სესხები

	2018	2017
გრძელვადიანი საბანკო სესხები	1,641,393	1,074,332

სულ სესხები	1,641,393	1,074,332
--------------------	------------------	------------------

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2021 წლის 24 იანვარი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4.8 %. საწარმოს დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად რომელთა ღირებულება აღემატება 100 000 ლარს. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 9

ამონაგები

	2018	2017
საქონლის გაყიდვა	7,057,428	6,978,284
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	28,475	28,644
სულ	7,085,903	7,006,928

შენიშვნა 10

სხვა შემოსავალი

	2018	2017
უსასყიდლოდ მიღებული შემოსავალი	302,003	202,381
სულ	302,003	202,381

შენიშვნა 11

	2018	2017
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		

საგდასახადო ხარჯი	46337	
ტრანსპორტირების ხარჯი	338022	
ბანკის მომსახურების ხარჯი	21806	
ბანკის გარანტიის საკომისიო	73069	
ავტომატური ექსპლუატაციის	31100	
სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯი	75941	
სულ	586275	

საგდასახადო ხარჯი - კომპენსაციის გარეშე მიწოდებულ საქონელზე და დანაკლისზე გადახდილი დღგ

შენიშვნა 12

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2018	2017
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(54,444)	(130,277)
სულ	(54,444)	(130,277)

შენიშვნა 13

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული

	2018	2017
შრომის ანაზღაურება მთლიანად	74,327	69,721
სულ	74,327	69,721

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად წებადართულია დირექტორის მიერ 2019 წლის 25 მარტს.

დირექტორი:

ბადრი იმნაძე

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2019 წლის 25 მარტს.

დირექტორი:

ბადრი იმნაძე

